

უზნეობის დამკანონებელი ქცევის კოდექსი

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ერთად მოამზადა სამაუწყებლო კოდექსი (<http://www.gncc.ge/>), რომელმაც საბოლოოდ უნდა დააკანონოს გარყვნილების, ძალადობისა და უხამსობის პროპაგანდა სამაუწყებლო ეთერში. თუ ეს კოდექსი მიღებულ იქნა, სამართლებრივად დაშვებული იქნება მაუწყებელთა თვითნებობა პორნოგრაფიის, სექსუალური ურთიერთობების, სიშიშვლის, ძალადობისა და ნარკოტიკების მოხმარების სცენების ჩვენებასთან დაკავშირებით. კოდექსი ანტიკონსტიტუციურია: იგი მაყურებელს, საზოგადოებას ართმევს კონსტიტუციურ უფლებას, დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში მაუწყებლის მიერ ეთიკის ნორმების, ცილისწამების, შეურაცხყოფისა და სხვა დარღვევების შემთხვევაში. ჩვენთან მას-მედიის თავისუფლება უკუღმაა გაგებული: იგი გაანთავისუფლეს ზნეობრიობისაგან, საზოგადოების მორალურ-ეთიკური კონტროლისაგან, სამაგიეროდ მას არაოფიციალურად ხელისუფლება აკონტროლებს.

კოდექსი ატარებს არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათს და უშვებს, მაუწყებლის სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დარღვევის შესაძლებლობას. გარდა გარყვნილებისა, შესაძლებელი ხდება მაგნე ზეგავლენის მქონე, მათ შორის, ოკულტიზმისა და ჰიპნოზის ამსახველი მასალის ჩვენება, მაშინ, როდესაც მსოფლიოში მსგავს მასალას კატეგორიულად ზღუდავენ იმ მიზნით, რომ მაყურებელი არასასურველი ზეგავლენისაგან დაიცვან. ასევე, თუკი ორი წლის წინ 12 წლის მოზარდებისათვის განსაკუთრებული სიფრთხილის დროითი ზონა (ე.წ. წყალგამყოფი) 22 საათამდე იყო, ახალ კოდექსში იგი 20 საათამდე

გადმოიტანეს. თვით სიფრთხილის ზონაშიც ამ ასაკის ბავშვებისათვის დასაშვებადაა მიჩნეული ნარკოტიკების მოხმარების, ძალადობის, ბილწისტყვაობის, ოკულტური რიტუალის, ჰიპნოზის სცენები. კოდექსის შემქმნელ ჯგუფს სურს დაგვიმტკიცოს, რომ კოდექსი ევროპული სტანდარტების მიხედვით არის შედგენილი, მაშინ, როდესაც საზღვარგარეთ ზემოთ დასახელებული შეუფერებელი მასალის არასათანადო დროს დემონსტრირებისათვის დიდი ფულადი ჯარიმებია დაწესებული, ხოლო ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი კატეგორიის ჩვენება მკაცრად არის აკრძალული. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული კოდექსის მსგავსი არადემოკრატიული, ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი, უზნეობაზე, ძალადობაზე, უხამსობაზე ორიენტირებული ქცევის კოდექსი არამც თუ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებად თუ განუვითარებელ ქვეყნებშიც ძნელად მოიძებნება. ასეთია „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და მისი სატელიტური ორგანიზაციების, ხელისუფლებაში მათი ლობის, ე. წ. „ბოკერისა და ლომიას ჯგუფის“, მათ მიერ მართული კომუნიკაციების კომისიისა და სასამართლოს „ზნეობა“ და „ეთიკა“.

სწორედ დასახელებულ პირთა დიქტატის შედეგად:

1. გაუქმდა ევროპული ქვეყნების ანალოგიით 2002 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მაგნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი და კრიტერიუმები;
2. 2006 წელს გაუქმდა არასრულწლოვანების მაგნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი ბეჭდვით პროდუქციაშიც;
3. 2006 წელს პარლამენტმა მიიღო ანტიკონსტიტუციური ნორმა, რომლითაც აკრძალა ეთერში გასული გადაცემის თუ ინფორმაციის მიმართ საჩივარზე მაუწყებლის პასუხის სასამართლოში გაპროტესტება;
4. კონსტიტუციური სასამართლო ყოველგვარი კანონის დარღვევით არ იწყებს იმ სარჩელის არსებით განხილვას,

რომელიც შეეხება პარლამენტის მიერ მოქალაქისთვის მაუწყებლის პასუხის სასამართლოში და ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში გაპროტესტების უფლების აკრძალვას. ყოველივე ამის შედეგად კი:

1. ტელეეკრანებზე შეუზღუდავად და განუკითხავად მიმდინარეობს უსაფრთხო სექსისა და გარყვნილების, კონტრაცეფციის, ძალადობისა და ნარკოტიკების პირდაპირი თუ არაპირდაპირი პროპაგანდა, ხშირად მოისმენთ ნარკოტიკების ადვილად მისაწვდომი საშუალებებით მომზადების დეტალურ ინსტრუქციებს, ოკულტიზმისა თუ გარყვნილების ფაქტიურ პროპაგანდას ბავშვებისთვის გამიზნულ გადაცემებში;
2. სატელევიზიო არხზე – „ალანია“, აჭარის ტელევიზია, „საქართველო“, „მზე“, „რუსთავი 2“ – არ იცავენ მაუწყებლობის კანონს და ახდენენ მხოლოდ სრულწლოვანი მაყურებლისთვის დაშვებული ფილმების დემონსტრირებას ასაკობრივი კატეგორიის მითითების გარეშე დღის საათებში ან კატეგორიით „U“.
3. ტელეკომპანია „პირველი სტერეო“ მუდმივად ახდენს დღის საათებში ინტიმური ტელეფონებისა და შეთავაზებების გადაცემას მორბენალ სარეკლამო სტრიქონში და ა.შ. და ა.შ.

სატელევიზიო კომპანიები მაყურებელს არ აწვდიან ინფორმაციას მაყურებელთა უფლებების შესახებ, ამასთან მდგომარეობას ამძიმებს სხვა საინფორმაციო საშუალებებისა და კომუნიკაციების კომისიის მიდგომა ამ სფეროსადმი, კერძოდ, მაყურებელი ვერ იგებს ინფორმაციას დარღვევების შესახებ, ამიტომ ხალხი შეეგუა და აღარ აპროტესტებს უზნეობას. სტატისტიკური და მეცნიერული გამოკვლევები კი აჩვენებენ, რომ ზნეობრივი დეგრადაცია და ტრადიციული მენტალიტეტის ცვლილება ერისთვის საშიშ მასშტაბებს იძენს. გარყვნილება, ძალადობა და

ნარკომანია მოზარდ თაობაში ფართოდ ვრცელდება და დემოგრაფიული გენოციდით ემუქრება ჩვენს ერს.

უზნეობის კანონმდებლები თვალთმაქცობენ, როდესაც გვიმტკიცებენ, რომ წარმოდგენილი კოდექსი მაუწყებელს სახელმწიფოს ჩარევისაგან დაიცავსო. სახელმწიფო ერევა და კვლავაც ჩაერევა მაუწყებელთა საქმიანობაში, აი, საზოგადოებრივი მონიტორინგისაგან კი ნამდვილად „დაიცავს“ და დაუკანონებს მაუწყებელს სრულ თვითნებობასა და საზოგადოების უფლებების იგნორირებას წარმოდგენილი კოდექსი.

კოდექსის პროექტის მომზადება ყველა ეტაპზე მიმდინარეობდა საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ მაუწყებელთა ინტერესების გათვალისწინებით. კოდექსის პროექტის სხვადასხვა დროინდელ ვერსიაში არც ჩვენი და არც სხვა ორგანიზაციათა თუ კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის მიერ მიწოდებული არსებითი წინადადება არაა გათვალისწინებული. არ ხდება ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის საჯარო განხილვის ხელშეწყობა კომისიისა და მაუწყებლების მიერ.

როგორც ვხედავთ, უკვე სამი წელია ზნეობრიობის დაცვის ჩვენს სურვილს არა მხოლოდ კომუნიკაციების კომისია, არამედ „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ზოგიერთი ტელეკომპანიის კომერციული ინტერესები უპირისპირდება. ამდენად ყოველი მოქალაქის თანადგომაზე იქნება დამოკიდებული, გაიმარჯვებს თუ არა ზნეობრიობა და საღი აზრი საქართველოში.

თუ თქვენ გაწუხებთ საქართველოს მომავალი, თქვენი შვილებისა და ახლობლების ზნეობა და ჯანმრთელობა, მოგიწოდებთ შემოგვიერთდეთ და ჩვენთან ერთად მოითხოვოთ:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს არასრულწლოვანთათვის შეუფერებელი გადაცემებისა და რეკლამების დემონსტრირება დღის საათებში და კომუნიკაციების

ეროვნულმა კომისიამ შეასრულოს თავისი მთავარი მოვალეობა - სამაუწყებლო ეთერის მონიტორინგი.

2. მაუწყებლობის კანონის შესაბამისად სამაუწყებლო კოდექსის შექმნაში დაუყოვნებლივ მოხდეს საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა და გათვალისწინებულ იქნეს მომხმარებელთა უფლებების დამცველისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებები.

3. სამაუწყებლო კოდექსის პროექტი გამოქვეყნდეს საჯაროდ პრესაში და მოეწყოს სატელევიზიო მისი საჯარო და საყოველთაო განხილვა.

გახსოვდეთ! ღმერთი მკაცრად მოგვკითხავს ჩვენს გულგრილობასა და დანაშაულებრივ უმოქმედობას, თუკი დაუშვებთ მომავალი თაობის გახრწნას, ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების შერყვნას, ზნეობრიობაზე ორიენტირებული ტრადიციების საწინააღმდეგო პროპაგანდასა და მათ ჩანაცვლებას უზნეობითა და საეჭვო ქცევის წესებით, ჩვენი სიქადულის – მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის – დისკრედიტაციას, მისი სწავლების შებღალვას.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი



**უზნეობის დამკანონებელი
მაუწყებელთა ქცევის კოდექსი**
საქართველოში გრძელდება „თავისუფლების
ინსტიტუტის“, მისი ლობისტებისა და
სატელიტების დიქტატი



იხმჭდება შემოწირულობებით
პრცეპლდება უფასოდ
(სხვასაც წააკითხეთ)